საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

10/11/2026

MES 0 26 0001637730

გადაწყვეტილება

შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს „კერძო სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულებამდე სწავლის გაგრძელების უფლების მინიჭების შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სხდომაზე წარმოდგენილი დასაბუთებული შუამდგომლობის (წერილი№01-09/1391, ცენტრში რეგისტრაციის - №1344315, 29/09/2026), საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 27 ოქტომბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^{8}-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს შუამდგომლობა და „კერძო სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი (2027 წლის 20 თებერვალი) დაასრულონ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
2. ცნობილ იქნას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2026 წლის 10 ნოემბრის №1636898 სხდომის ოქმის №01 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2026 წლის 10 ნოემბრიდან.

4. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64, აღნიშნული გადაწყვეტილების კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

